

# პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

01.12.2021

**მომხმარებელთა / რეგისტრირებულ მომხმარებელთა** პერსონალური მონაცემების დამუშავება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის (შემდგომში „**პოლიტიკა**“) საფუძველზე, ხორციელდება **კომპანიის** ან/და **კომპანიის** მიერ დასახელებული მესამე პირების მიერ.

**მომხმარებლის** მიერ წესებსა და პირობებზე თანხმობა („ვეთანხმები“-ს მონიშვნა) ჩაითვლება პირის მიერ წერილობით თანხმობად პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაზე.

**მომხმარებლის / რეგისტრირებული მომხმარებლის** მიერ **კომპანიისთვის** ინფორმაციის მიწოდება ატარებს სავალდებულო ხასიათს. ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, **კომპანია** ვერ გაუწევს ჯეროვან მომსახურებას **მომხმარებელს/რეგისტრირებულ მომხმარებელს**.

## 1. ტერმინთა განმარტება

თუ თავად კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **პოლიტიკაში** გამოყენებულ ტერმინებს აქვთ **წესებისა და პირობების** მიხედვით მინიჭებული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არის კოლიზია წინამდებარე დოკუმენტის 1-ლი მუხლითა და წესებითა და პირობებით გათვალისწინებულ მნიშვნელობებს შორის. კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ მნიშვნელობებს.

## 2. პერსონალური მონაცემები

2.1. **მომხმარებლისთვის/რეგისტრირებული მომხმარებლისთვის აპლიკაციით** ჯეროვანი სარგებლობისა და **მომხმარებელთათვის** მაღალხარისხიანი **მომსახურების** გაწევის მიზნით, **კომპანია** აგროვებს შემდეგ მონაცემებს:

2.1.1. მონაცემებს, რომლებსაც **კომპანია** მიეწოდება **მომხმარებლის/რეგისტრირებული მომხმარებლის** მიერ პირადად:

➤ მონაცემები:

- მობილურის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტა;
- სახელი;
- გვარი;
- ბანკის ბარათ(ებ)ი;
- ადგილმდებარეობა;

➤ დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც **მომხმარებელი / რეგისტრირებული მომხმარებელი კომპანიას** აწვდის საკუთარი ინიციატივით, წერილობით ან/და ზეპირად.

2.1.2. მონაცემები, რომლებსაც **კომპანია** იღებს **მომხმარებლისგან/რეგისტრირებული მომხმარებლისგან** დამოუკიდებლად.

➤ **მომხმარებლის / რეგისტრირებული მომხმარებლის** IP მისამართი;

- გამოყენებული ბრაუზერის ტიპები და ვერსიები;
- წვდომის სისტემის მიერ გამოყენებული ოპერაციული სისტემა;
- წვდომის თარიღი და დრო;
- ჩვენი სერვისის გვერდებს, რომლებსაც ეწვიეთ;
- რეფერერის URL (ადრე მონახულებული გვერდი);
- მობილური მოწყობილობის ტიპი, რომელსაც იყენებთ;
- თქვენი მობილური მოწყობილობის უნიკალური ID;
- თქვენი მობილური ოპერაციული სისტემა;
- მობილური ინტერნეტ ბრაუზერის ტიპი;
- მომხმარებლის ადგილმდებარეობა;
- უნიკალური მოწყობილობის იდენტიფიკატორები და სხვა დიაგნოსტიკური მონაცემები.

### 3. მონაცემთა დამუშავების მიზანი

- 3.1. კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული პირის მიერ, **მომხმარებელთა/ რეგისტრირებულ მომხმარებელთა** პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მიზნებით.
- 3.2. კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული პირის მიერ **მომხმარებელთა/ რეგისტრირებულ მომხმარებელთა** პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება კომპანიის მიერ **მომხმარებელთათვის/რეგისტრირებულ მომხმარებელთათვის** ჯეროვანი და მაღალხარისხიანი **მომსახურების** მიწოდების უზრუნველყოფისა და **ვებ-გვერდით** შეუფერხებელი სარგებლობისთვის.
- 3.3. მონაცემთა დამუშავების ზოგადი მიზნები:
- 3.3.1. **აპლიკაციის** გამოყენების დახვეწა და გაუმჯობესება.
- 3.3.2. **მომხმარებელთათვის/რეგისტრირებულ მომხმარებელთათვის** მომსახურების გაწევა.
- 3.3.3. პროდუქტის მიტანის სერვისით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა **მომხმარებლისთვის**.
- 3.3.4. საეჭვო/კანონსაწინააღმდეგო ტრანზაქციებისა თუ ქმედებების აღმოჩენა/დაბლოკვა.
- 3.3.5. თაღლითობისა და სხვა შესაძლო სამართალდარღვევების აღკვეთა.
- 3.3.6. სტატისტიკების მაქსიმალური სიზუსტით შედგენა და ამით სერვისის გაუმჯობესება.
- 3.4. მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები:
- 3.4.1. მობილურის ნომრით **კომპანია** უზრუნველყოფს მომხმარებელთან მუდმივად კონტაქტზე ყოფნას, მის ინფორმირებას შეკვეთასთან დაკავშირებით და მის ინფორმირებას პროდუქტის ჩაბარებასთან დაკავშირებით;
- 3.4.2. ელექტრონული ფოსტით კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებელთან კონტაქტს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც **მომხმარებელი** მიუწვდომელია ტელეფონის ნომერზე ან აღარ არსებობს ნომერი. ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით **კომპანია** უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის სერვისთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაციის, აქციების და სხვა ცნობების/ინფორმაციის მიწოდებას;
- 3.4.3. **მომხმარებლის** სახელი და გვარი გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის.
- 3.4.4. **მომხმარებლის** საბანკო ბარათის გამოიყენება **კომპანიის** მომსახურების ასანაზღაურებლად.
- 3.4.5. **მომხმარებლის** ადგილსამყოფელი გამოიყენება შეკვეთის ჩასაბარებლად.
- 3.5. **რეგისტრირებული მომხმარებლების** შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება ასევე გამოიყენება მარკეტინგული მიზნებისა და **რეგისტრირებულ მომხმარებელზე** მაქსიმალურად მორგებული შეთავაზებების/შეღავათების შეთავაზებისათვის.

3.6. რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს, კომპანიას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.

#### 4. მონაცემთა სხვა პირებზე გადაცემა

4.1. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებელთა/რეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემები, პოლიტიკაში დოკუმენტში გაწერილი მიზნებისათვის, კონფიდენციალობის დაცვით, გადასცეს მესამე პირებს, მათ შორის და არამხოლოდ საკურიერო კომპანიებს, ფოსტას და ა.შ.

4.2. წინამდებარე დოკუმენტის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გარეშე პირს გადასცეს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია.

#### 5. ცვლილებები

5.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში, შესაძლოა დროდადრო შევიდეს გარკვეული ცვლილებები/დამატებები, რომლებიც ავტომატურად აისახება ვებ-გვერდზე/აპლიკაციაში. ვებ-გვერდის/აპლიკაციის გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით აღნიშნულ ცვლილებებსა თუ დამატებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ცვლილებების/დამატების შემთხვევაში, კომპანია რეგისტრირებულ მომხმარებლებს ვებ-გვერდის/აპლიკაციის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამატებით გაცნობებთ აღნიშნულის შესახებ.

#### 6. შენიშვნები

6.1. კომპანია აცნობიერებს თითოეული მომხმარებლის / რეგისტრირებული მომხმარებლის პერსონალური მონაცემის დაცულობისა თუ დამუშავების წესების მნიშვნელობას.

6.2. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მომხმარებლის/რეგისტრირებული მომხმარებლის აზრი და დამოკიდებულება, მათ შორის და არამხოლოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

6.3. კომპანია გამოთქვამს სურვილსა და მზაობას ნებისმიერი შენიშვნის/რჩევის შემთხვევაში, გაგებით მოეკიდოს მომხმარებლის/რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ წამოყენებულ პრეტენზიას, შესაბამისად, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ [info@bodo.delivery](mailto:info@bodo.delivery).